ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7583492

ნომერი: AR11100041

თარიღი : 14.07.2025

გაცემის თარიღი : 07.08.2025

გაცნობის თარიღი : 07.08.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N29-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია მახალდიანი პ/ნ 01006012280
- თბილისი ს. დიღომი ასმათის ქ. N 39ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 14 ივლისს №AR11100041 განცხადებით მომართა ლია მახალდიანმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის

№7519490 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებით, №01.10.08.006.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 7 ივლისის №7543641 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია (გარე) ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 1010.85 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის გეგმა (გვ. 30) ჩანაცვლდა 2025 წლის 19 ივნისის №AR11096516 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან კერძოდ, საერთო ფართობად 34524.68 კვ.მ-ის ნაცვლად 33087.08 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 22579.44 კვ.მ-ის ნაცვლად 21448.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 6058.62 კვ.მ-ის ნაცვლად 5361.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3055.85 კვ.მ-ის ნაცვლად 2850.17 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 2512.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3107.74 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 33087.08 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 21448.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 5361.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2850.17 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 3107.74 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა -3.00, +3.00 ნიშნულებისა და სახურავის გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 17 ივნისის №7519490 და 2025 წლის 7 ივლისის №7543641 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.